MES 4 23 0000884789

14/07/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.06.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:10 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი (I – III)
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი (II – IV – V)
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე;**
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**

3. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
4. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

6. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
12. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
18. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
19. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ანა ქოიავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	რაზაქ რაჯი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ნინო დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ანი ქვათაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიორგი ფარეშიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ეკატერინე ბახტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
8	ნინო ხუბულია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	რემიგიუს ქინდერის	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
10	ვალერი არღუთაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	გიორგი არქანია	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
12	პაატა ჩაგანავა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	ალინა კატუნიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
15	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
16	თამარ გვნიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
17	დავით ტეფნაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი		
1	გიორგი ღაღანიძე		პროფესორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი	I
2	მარინე ჩავლეიშვილი		ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკის და	I

			ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	
3	მანანა ლობჟანიძე		ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	I
4	ია ნაცვლიშვილი		ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	I
5	ქეთევან ჩიტალაძე		ასისტენტ პროფესორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	I
6	იოსებ ხელაშვილი		პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
7	ნანა კაციტაძე		ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა	I
8	მერაბ ხოხობაია		ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და	I

			მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა	
9	ვალერი არღუთაშვილი		ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა	I
10	მამუკა ხუსკივაძე		ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა, თსუ ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე	I
11	შოთა ფოთოლაშვილი		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
12	ნინო ქიმერიძე		აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	I
13	ნატალია ბარათელი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მრჩეველი	I
14	ქრისტინე ჩიხლაძე		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;	I
15	თამარ გარდაფხაძე	შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნი	რექტორი	II
16	მანანა ალადაშვილი		ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი;	II
17	ნათია გოგოლაური		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	II
18	ქეთევან კვიცარიძე		ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.	II

		სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
19	შალვა ჭკადუა		ასოც.პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი	III
20	ირმა შიოშვილი		პროფესორი, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	III
21	თამარ თამარაშვილი		ასოც.პროფესორი. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი	III
22	სალომე თათულიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
23	ია ჯიმშიტაშვილი		პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
24	ნანა რინკიაშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
25	მანანა ალადაშვილი		ასოც.პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
26	მაია გონაშვილი		პროფესორი	III
27	ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე		პროფესორი	III
28	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი;	IV
29	ალექსანდრე მღებრიშვილი		რექტორის მოადგილე;	IV
30	ლევან მიდოდაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის	IV

			უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;	
31	მარიკა შერაზადიშვილი		სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი	**IV**
32	ციური დურული		სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;	**IV**
33	ნინო ორჯონიკიძე		სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.	**IV**
34	გიორგი მათიაშვილი	შპს - საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი - ჯიუ	რექტორი	**V**
35	ელისო ელისაშვილი		კანცლერი	**V**
36	ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე		ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით	**V**
37	მარიამ დარბაიძე		კანცლერის მრჩეველი	**V**
38	გრიგოლ კალანდაძე		საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი	**V**
39	ნინა კეკელიძე		ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) ხელმძღვანელი	**V**
40	გელა ალადაშვილი		ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებების სკოლის დეკანი	**V**
41	ლიკა ხარებავა		ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებების	**V**

			სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო და "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასტუმროს მენეჯმენტის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი - ჯიუ-ს ,,ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო და "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასტუმროს მენეჯმენტის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი - ჯიუ-ს ,,ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1.პირველი საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო და "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი Tourism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 422; 12/9/2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		1. ვაჟა - ფშაველას გამზ. 44. თსუ IX კორპუსი, ტურიზმის სკოლა. ქ. თბილისი 0179; 2. უნივერსიტეტის ქუჩა #2, თსუ X (მაღლივი) კორპუსი, ქ. თბილისი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი Tourism and Hospitality Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #3; 2/1/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის დოქტორი PHD in Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50

14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქუჩა #2, თსუ X (მაღლივი) კორპუსი, ქ. თბილისი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ და მამუკა ხუსკივაძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის ვიზიტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2023 წლის 22 და 23 მაისს და წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ინტერვიუები ჩატარდა დეკანთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან, სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიურ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, და დამსაქმებლებთან. შემოწმების პროცესის შედეგი ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლას და ექსპერტთა პანელის მიერ დაწესებულებაში შემოწმების დროს ჩატარებულ ინტერვიუებს. საბოლოო შემაჯამებელ შეხვედრაზე მოწვეულმა პანელმა გააკეთა წინასწარი დასკვნები და გააცნო ისინი დაწესებულებას.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

"ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. უნდა განისაზღვროს ძირითადი და არჩევითი კურსების შემდეგი კომპონენტების წინაპირობები: საქართველოს ტურიზმის რეკრეაციული რესურსები, აგროტურიზმი, კულტურათაშორისო მენეჯმენტი, გიდის სერვისი, ღვინის ტურიზმი, საერთაშორისო მენეჯმენტი, ლიდერობა, ტურიზმი და მასპინძლობის მარკეტინგი, ტურიზმის სამართალი, ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, სასტუმროს მენეჯმენტი და ოპერაციები, კურორტების მენეჯმენტი.
2. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების წარმატებით მისაღწევად პროგრამის სასწავლო გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი ძირითადი კურსები, კერძოდ: პროექტების მენეჯმენტი ტურიზმში, ღონისძიებების მენეჯმენტი ტურიზმში/MICE ტურიზმი, ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები.
3. ზოგიერთი არჩევითი კურსი შეიძლება შეიცვალოს ძირითად საგნებად, კერძოდ: კულტურული ტურიზმი, კურორტების მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტი.
4. ზოგიერთი ძირითადი საგანი შეიძლება გაერთიანდეს, რაც პროგრამაში მეტი კრედიტების ხელმისაწვდომობისა და მოქნილობის შესაძლებლობას შექმნის, კერძოდ: ტურიზმის შესავალი / ტურიზმის პრინციპები და მასპინძლობის მენეჯმენტის შესავალი / მასპინძლობის მენეჯმენტის პრინციპები, სასტუმროს მენეჯმენტი და ოპერირება და სასტუმროს წინა- ოფისის მენეჯმენტი.
5. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა უნდა შემუშავდეს ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად.

6. ზოგიერთი კურსის შინაარსში არ უნდა იყოს თემების გადაფარვა, კერძოდ: სასტუმროს მენეჯმენტი და ოპერირება და სასტუმროს წინა-ოფისის მართვა.
7. რეკომენდებულია შესაბამისი ენის დონის განსაზღვრა - B1/1. B1/2, B2/1 მიხედვით, ინგლისური ენის შიდა გამოცდის ქულების ნაცვლად.
8. რეკომენდებულია განისაზღვროს კურსების კვოტა/ რაოდენობა თითოეულ ლექტორზე და შესაბამისობა საგნებს შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით დასკვნაში მოცემულია, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო ცხრილში მსგავსი შეფასება მხოლოდ პირველი სტანდარტისთვის არის მითითებული, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ. ამასთან მე-4 სტანდარტთან მიმართებით დოქტორანტების რაოდენობასთან დაკავშირებით ცხრილი არ არის შევსებული. ამ ცხრილის შევსება გულისხმობს იმას, რომ ექსპერტს აღნიშნული აქვს შემოწმებული და ადასტურებს ინფორმაციას, რაც თვითშეფასებაში შეიძლება იყოს მოცემული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ ცხრილებში მოცემული შესაბამისობები არის სწორი, ხოლო ის რაც თეორიულად არის განსაზღვრული სტანდარტებთან დაკავშირებით არის ტექნიკური ხარვეზი. რაც შეეხება მე-2 შეკითხვას, აღნიშნული ასევე წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი საგნებიდან ექვს საგანს აქვს განსაზღვრული წინაპირობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კროს კულტურული მენეჯმენტი არის თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსი სხვა პროგრამებს სტუდენტებისთვის, ამასთან აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე თსუ ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის, რომელიც ასევე არის აკრედიტებული პროგრამა. ღვინის ტურიზმი ასევე წარმოდგენილია თავისუფალი არჩევითი კურსის სახით. საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები ადასტურებენ, რომ მსგავს სასწავლო კურსებს არ ახასიათებს წინაპირობების განსაზღვრა, რისი ანალოგებიც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს წერილობით დასკვნაში. რაც შეეხება ტურიზმის სამართალს, თავად კურსის შინაარსი არ საჭიროებს რაიმე წინაპირობას, რაც ასევე დასტურდება საერთაშორისო პრაქტიკით. გიდის სერვისი, აგრო ტურიზმი, საქართველოს რეკრეაციული რესურსები შეადგენენ თსუ-ს დამატებითი პროგრამის თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებს, რომელიც ხელმისაწვდომია თსუ-ს ყველა სტუდენტისათვის. შესაბამისად, ამ საგნებისთვის წინაპირობის დაწესება შეზღუდავს სხვა სტუდენტების მიერ მოცემული სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას. რაც შეეხება სასწავლო კურსს კულტურულ ტურიზმს, მოცემულ სასწავლო კურსს განსაზღვრული აქვს წინაპირობა, შესაბამისად საკითხთან დაკავშირებით პროგრამაში არის ტექნიკური ხარვეზი.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, პროექტის მენეჯმენტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის შედეგები არის მაღალი რგოლის მენეჯერების კომპეტენცია, შესაბამისად, პროექტის მენეჯმენტი საგანი წარმოდგენილია თსუ-ს სამაგისტრო პროგრამაში და რაც შეეხება პროექტის შექმნაში ჩართულობას, ბაკალავრის ხარისხის მატარებელია სპეციალისტისთვის საჭირო ცოდნა სა და უნარებს იძლევა ტურიზმის

თითქმის ყველა საგანში ჩართული პროექტებისა და პრეზენტაციების მომზადება. ამასთან მოცემული კომპონენტი, სტუდენტს აძლევს ფართო განათლების მიღების შესაძლებლობას, რაც პრიორიტეტულია საბაკალავრო საფეხურზე. რაც შეეხება ტურიზმის პოლიტიკასა და რეგულაციებს, ტურიზმის პოლიტიკის საკითხები განსაზღვრულია ტურიზმის ეკონომიკის სასწავლო კურსში, ხოლო რეგულაციები ერთმნიშვნელოვნად წარმოდგენილია ტურიზმის სამართლის სასწავლო კურსში. გარდა ამისა, ცალკე საგანი ტურიზმის პოლიტიკა ასევე წარმოდგენილია სამაგისტრო პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებას დაებადა ტექნიკურ შეკითხვა, კერძოდ რეკომენდაცია ეხება სასწავლო კურსების გაერთიანებით კრედიტების გამოთავისუფლებას პროგრამის მოქნილობის გაზრდის მიზნით. ამასთან მითითებულია შემდეგი ფორმულირებები: „შესავალი ტურიზმში/ტურიზმის პრინციპები“ და „მასპინძლობის მენეჯმენტი/მასპინძლობის მენეჯმენტის პრინციპები“. დასაზუსტებელია ამ ორი დაწყვილებული სათაურებიდან, რომლის საფუძველზე ან რა სახელწოდებით არის რეკომენდირებული სასწავლო კურსების გაერთიანება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება არ ეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას, რადგან კურსების მსგავსად განაწილება არის დაწესებულების მიერ შემუშავებული დიზაინი. გარდა ამისა, საგნების მსგავსად განაწილება ქმნის ლოგიკურ საფუძველს.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, დარგობრივ მახასიათებელში განსაზღვრულია 9 შედეგი და ამავე დოკუმენტში წერია, რომ შედეგი უნდა იყოს 10-მდე. იმ შემთხვევაში თუ ცხრავე შედეგი იქნება მიღებული, არც ერთ დაწესებულებას არ რჩება საშუალება ბაზარზე გამოხატოს თავისი ინდივიდუალურობა. ცხრა შედეგი რაც არის განსაზღვრული არ ნიშნავს, რომ მოცემული უნდა იყოს იდენტური და ზუსტად გადატანილი ყველა პროგრამაში, გამომდინარე აქედან, პროგრამა ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა ცხრა შედეგი პროგრამაში არის ასახული თუმცა ფორმულირებულია განსახვავებულად.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გადაფარვა ნამდვილად არის სახეზე, ვინაიდან, სასტუმროს მართვისა და ოპერირების სასწავლო კურსში შეუძლებელია განხილული არ იყოს წინა-ოფისის თემა. გადაფარვის შემცირება კი მოხდება ახალი კომპიუტერული პროგრამების შემოღებით.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, უნივერსიტეტში მსგავსი პრაქტიკის დანერგვის მცდელობა არსებობდა, თუმცა აღნიშნულმა გამოიწვია სწავლის დაწყების შეფერხება, შესაბამისად მსგავსი პრაქტიკის დანერგვა ასეთ მასშტაბურ უნივერსიტეტში არის შეუძლებელი. თუმცა, ყველა სტუდენტს, პირადი განცხადების საფუძველზე შეუძლია გადავიდეს თავისთვის სასურველ ჯგუფში.

მნიშვნელოვანია ასევე მე-8 რეკომენდაცია, კერძოდ კურსების განაწილება განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რაც არის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე მოწვეული და აკადემიური პერსონალის საათების რაოდენობის განაწილების წესი. ამ წესის თანახმად ზუსტად არის გაწერილი რა რაოდენობის საათები უნდა შეასრულოს აკადემიურმა პერსონალმა. ამასთან, დატვირთვის ცხრილის შესაბამისად, თითოეულ პერსონალზე არ არის 2-3 საგანზე მეტ განსაზღვრული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ზურაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემულია ინფორმაცია იმის, შესახებ, რომ აუცილებელია განისაზღვროს პროგრამაში პროექტების მენეჯმენტი ტურიზმში, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს განმარტებისკენ. ამასთან, დასკვნაში ასევე აქცენტი იყო ძირითადი საგნების გაერთიანებაზე, აქვე მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმისა და მასპინძლობის შესავალი არსებითად სხვა და სხვა შინაარსის მატარებელია, შესაბამისად მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ რატომ ითხოვენ ექსპერტები მოცემული სასწავლო კურსების გაერთიანებას. რაც შეეხება სასტუმროს საქმეს, საბჭოს წევრი მიიჩნევს რომ გადაფარვა არ არის სახეზე თუ მოხდება მოცემული საკითხის მეტად სიღრმისეულად შესწავლა.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა სასწავლო კურსები ,,საოჯახო ბიზნესის მართა ტურიზმში“ , ,,ინფორმაციული სისტემები ტურიზმში“ და ,,გიდის მომსახურება“ და განმარტა, რომ კრიტერიუმებში გამოტანილია ისეთი სამუშაოს შესრულება სტუდენტების მიერ, რაც თავად მიზნებიდან გამომდინარე არ ადასტურებს პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას. შესაძლებელია დაწესებულება აქტიურად იყენებს პრაქტიკულ სამუშაოებს, თუმცა სილაბუსში არ არის განსაზღვრული არც პრაქტიკული სამუშაოები და არც მათი შეფასების საკითხი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებულია 1- კრედიტიანი პრაქტიკა. თავად პრაქტიკის სილაბუსში ცხადია მოცემულია, თავად პრაქტიკის დასკვნითი ანგარიში რეფერატის სახით. მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკა მოიცავს ორ კომპონენტს, ერთი არის თავად პრაქტიკა, ხოლო მეორე დასკვნითი ანგარიში რეფერატის სახით. აქვე უნდა აღინიშნოს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები იმასთან დაკავშრებით, რომ აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული ხელმძღვანელის რეკომენდაციის შესაბამისად კვლევითი პრაქტიკული ხასიათის პროექტი. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას ისეთი მემორანდუმები გაფორმებული, სადაც ზუსტად არის მოცემული სტუდენტების რაოდენობა, გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული წარმოადგენს კანონმდებლობის მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეკომენდაციები განსაზღვრული იქნა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, თუ დაწესებულება გადაწყვეტას რომ შესავალი ტურიზმში და შესავალი მასპინძლობაში დატოვოს ცალ-ცალკე სასწავლო კურსებად აუცილებელია თითოეულ მათგანში ისწავლებოდეს სხვა და სხვა საკითხები და არ იყოს გადაფარვები, თუ ორივე საგანი უნდა მოიცავდეს ერთი და იმავე საკითხებს მაშინ უნდა მოხდეს მათი გაერთიანება. პროგრამის მიხედვით ამ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით საერთო იყო სემინარები, სასწავლო მასალა, შესაბამისად არანაირი აზრი არ აქვს ამ საგნების ცალ-ცალკე სწავლებას. რაც შეეხება სასტუმროს საქმეს, მოცემულ შემთხვევაშიც, გადაფარვა იყო 50%-60%. გამომდინარე აქედან უნივერსიტეტს აღნიშნულ შემთხვევაში აქვს ორი გზა, ან ეს საგნები ცალ ცალკე უნდა ისწავლებოდეს, თუმცა იმ პირობებში რომ მათ შორის არ იქნება გადაფარვა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს საგნების გაერთიანება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს არ ჰქონდა შესაძლებლობა მოცემულია საკითხები გაეტანა პროგრამის განვითარების კომიტეტისთვის განსახილველად, შესაბამისად, აუცილებლად დაწესებულება რეკომენდაციებს განიხილავს კომიტეტის სხდომაზე და იმსჯელებს საკითხებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა “ინფორმაციული სისტემების ტურიზმის” სასწავლო კურსთან დაკაშირებით და განმარტა, რომ მოცემული კურსი არ მოიცავს მხოლოდ

თეორიულ სწავლებას, აღნიშნულ კურსში ინტეგრირებულია სხვადასხვა პროგრამული პაკეტები, როგორიცაა მაგალითად ვებ პლატფორმებზე დაფუძნებული პაკეტები, რაც იძლევა კონკრეტული ჯავშნების განხორციელების შესაძლებლობას. მოცემული ფასდება ერთი მხრივ სემინარული აქტივობების შედეგად, ხოლო სემესტრი ბოლოს სტუდენტები ამზადებენ პრეზენტაციას, რომლის შეფასებაც ხდება თეორიული და პრაქტიკული სამუშაოების კომბინირებით.

რაც შეეხება მემორანდუმებს, დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული აქვს იმ სისტემატიზებულ ორგანიზაციებთან, რომელსაც აქვს საკმაოდ დიდი მოქნილობა, ვინაიდან კონკრეტული რაოდენობის სტუდენტების გაწერა მემორანდუმში აჩენს სხვდასხვა ვალდებულებებს, შესაბამისად დაწესებულებამ აღნიშნულს თავი აარიდა.

პრაქტიკასთან დაკავშირებთ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაკალავრო დონეზე კვლევის ჩატარება არ არის სავალდებულო. მოცემული პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკა უფრო მეტად არის პრაქტიკის ანგარიში, უნარების გამომჟღავნება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:27
დასრულების დრო: 16:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის (პროგრამების) შეფასების შედეგების განხილვა კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
2. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა უნდა შემუშავდეს ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად;
3. უნდა დაზუსტდეს ძირითადი და არჩევითი კურსების შემდეგი კომპონენტების წინაპირობები: საქართველოს ტურიზმის რეკრეაციული რესურსები, აგროტურიზმი, კულტურათაშორისი მენეჯმენტი, გიდის სერვისი, ღვინის ტურიზმი, საერთაშორისო მენეჯმენტი, ლიდერობა, ტურიზმი და მასპინძლობის მარკეტინგი, ტურიზმის სამართალი, ტურიზმის დაგეგმვა და მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, სასტუმროს მენეჯმენტი და ოპერაციები, კურორტების მენეჯმენტი;
4. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების წარმატებით მისაღწევად პროგრამის სასწავლო გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი ძირითადი კურსები, კერძოდ: პროექტების მენეჯმენტი ტურიზმში, ღონისძიებების მენეჯმენტი ტურიზმში/MICE ტურიზმი, ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები;
5. ზოგიერთი არჩევითი კურსი შეიძლება შეიცვალოს ძირითად საგნებად, კერძოდ: კულტურული ტურიზმი, სასტუმროს მენეჯმენტი;
6. ზოგიერთი ძირითადი საგანი შეიძლება გაერთიანდეს, რაც პროგრამაში მეტი კრედიტების ხელმისაწვდომობისა და მოქნილობის შესაძლებლობას შექმნის, კერძოდ: ტურიზმის შესავალი / ტურიზმის პრინციპები და მასპინძლობის მენეჯმენტის შესავალი / მასპინძლობის მენეჯმენტის პრინციპები, სასტუმროს მენეჯმენტი და ოპერირება და სასტუმროს წინა- ოფისის მენეჯმენტი.
7. ზოგიერთი კურსის შინაარსში არ უნდა იყოს თემების გადაფარვა, კერძოდ: სასტუმროს მენეჯმენტი და ოპერირება და სასტუმროს წინა-ოფისის მართვა;
8. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში / ხელშეკრულება განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა;
9. რეკომენდებულია, ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას ტურიზმთან დაკავშირებული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტების/ნაშრომების შესრულება;
10. რეკომენდებულია განისაზღვროს კურსების კვოტა/ რაოდენობა თითოეულ ლექტორზე და შესაბამისობა საგნებს შორის.

რჩევები:

- სასურველია უსდ დარწმუნდეს, რომ ტურიზმის ყველა დარგობრივი სტანდარტი ადეკვატურად და ლოგიკურად არის ჩადებული ორივე საგანმანათლებლო პროგრამაში;
- უნივერსიტეტმა უნდა ჩართოს მოწვეული პედაგოგები კვლევისა და პროფესიონალული განვითარების აქტივობებში, რითაც განუვითარებს მათ სწავლებისა და სწავლის უნარებს;
- სასურველია შეიქმნას ტრენინგ სესიები მოწვეული პერსონალისთვის, სადაც მოხდება მოდულის გუნდის მიერ მიწოდებული თითოეული სემინარის უნარჩვევებისა და ცოდნის გაერთიანება;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა (LMS) უნდა გაუმჯობესდეს და ხელი შეუწყოს სტუდენტებს სწავლაში და სწორი მოდულების არჩევაში;
- სასურველია გაიზარდოს დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის მოდიფიკაციისა და შეფასების პროცესში; დამსაქმებლებს აქვთ ძალიან ზოგადი შეხედულება პროგრამის დეტალების შესახებ და არ იცნობენ პროგრამის კომპეტენციებს/ პროგრამის სწავლის შედეგებს.

- სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო ყურადღებით გააზიაროს შეფასების ანგარიშები. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა დარწმუნდეთ, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღო თავისი საკუთარი ინდივიდუალური შეფასების შესახებ ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2} მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის (პროგრამების) შეფასების შედეგების განხილვა კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რჩევები:

- სადოქტორო პროგრამამ უნდა გაამლიეროს და გააღრმაოს თეორიული ცოდნა, და დაეხმაროს სტუდენტებს აკადემიური წერით პროგრამის დასაწყისში.
- სადოქტორო პროგრამამ უნდა გაამლიეროს და გააღრმაოს თეორიული ცოდნა, და დაეხმაროს სტუდენტებს აკადემიური წერით პროგრამის დასაწყისში.
- სასურველია, რომ პროგრამის გუნდმა ნათლად მიაწოდოს სტუდენტებს დეტალური ინფორმაცია შეფასების შესახებ სადოქტორო პროგრამის დაწყებისთანავე. პროგრამის გუნდმა მკაფიოდ უნდა განიხილოს და უზრუნველყოს სამეცნიერო- კვლევითი პროექტის გეგმა და გააუმჯობესოს დოქტორანტის უნარი დაგეგმოს კვლევა საბოლოო დისერტაციისთვის და განავითაროს ნაშრომის ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენის უნარები.

- უნივერსიტეტმა უნდა ჩართოს მოწვეული პედაგოგები კვლევისა და პროფესიონალული განვითარების აქტივობებში, რითაც განუვითარებს მათ სწავლებისა და სწავლის უნარებს;
- სასურველია შეიქმნას ტრენინგ სესიები მოწვეული პერსონალისთვის, სადაც მოხდება მოდულის გუნდის მიერ მიწოდებული თითოეული სემინარის უნარჩვევებისა და ცოდნის გაერთიანება;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა (LMS) უნდა გაუმჯობესდეს და ხელი შეუწყოს სტუდენტებს სწავლაში და მოდულების არჩევაში;
- სასურველია გაიზარდოს დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის მოდიფიკაციისა და შეფასების პროცესში; დამსაქმებლებს აქვთ ძალიან ზოგადი შეხედულება პროგრამის დეტალების შესახებ და არ იცნობენ პროგრამის კომპეტენციებს/ პროგრამის სწავლის შედეგებს.
- სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო ყურადღებით გააზიაროს შეფასების ანგარიშები. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა დარწმუნდეთ, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღო თავისი საკუთარი ინდივიდუალური შეფასების შესახებ ინფორმაცია.

16:05 საათზე სხდომა დატოვა გოდერძი ბუჩაშვილმა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი.

2. მეორე საკითხი: შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 37, 27/09/2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გიორგი ჭყონდიდელის ქ.N56, თბილისი 0180 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის ვიზიტი ნიუუნიში 20 მაისს განხორციელდა წინასწარ დადგენილი გეგმით. ჩატარდა გასაუბრება რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შეფასების პროცესის შედეგი ეფუძნება კოლეჯის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას და დისკუსიებს, რომლებიც ჩატარდა ვალიდაციის ღონისძიების დროს დაწესებულებაში, ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის ვალიდაციის ჯგუფის მიერ. საბოლოო შემაჯამებელ შეხვედრაზე მოწვეულმა ჯგუფმა გააკეთა წინასწარი დასკვნები და გააცნო დაწესებულებას.

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებულ ირეკომენდაციები:

1. პროგრამის გუნდმა უზრუნველყოს სწავლის ყველა შედეგის მიღწევა და შესაბამისი კურსებით გაძლიერება.
2. რეკომენდებულია პროგრამის მეორე სწავლის შედეგის გადახედვა სასწავლო გეგმის რუკაზე და სასწავლო კურსის დაზუსტება, რომელიც ეფექტურად აითვისებს ამ კონკრეტულ სწავლის შედეგს.
3. კურსში „სტატისტიკა ტურიზმში“ მიღების წინაპირობად რეკომენდებულია განისაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი კვლევის მეთოდებში“; კურსში „ფინანსური მენეჯმენტი“ მიღების წინაპირობად განისაზღვროს კურსები „ფინანსები“ და „ფინანსური აღრიცხვის შესავალი“, „მაკროეკონომიკის პრინციპების“ კურსის ნაცვლად. „მენეჯმენტის საფუძვლები“ განისაზღვროს, როგორც „რისკებისა და პრობლემების მენეჯმენტის“ კურსის წინაპირობა.
4. ძირითადი სწავლის სფეროს – „რისკებისა და პრობლემების მართვა ტურიზმში“ არჩევითი საგნის სილაბუსების შინაარსი და სათაური გახდეს თავსებადი;
5. რეკომენდებულია, განახლდეს ძირითადი ლიტერატურა სილაბუსებში შემდეგი კურსებისთვის – „ბიზნესის საფუძვლები“, „შესავალი სტრატეგიულ მენეჯმენტში“, ახალი ხელმისაწვდომი მასალით

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გამოგზავნილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც დასტურდება რომ ინსტიტუციამ მაქსიმალურად გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები.

პირველ რეკომენდაცასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შევიდა ცვლილება სწავლის შედეგების - კურიკულუმის რუკაში, კერძოდ, განისაზღვრა „ბიზნესის ეთიკა (P), ხოლო პრაქტიკა (M), შესაბამისად, მეორე სწავლის შედეგის გაღრმავებაში წვლილს შეიტანს სასწავლო კურსი „ბიზნესის ეთიკა“, ხოლო გამტკიცება და შესაბამისად, შედეგის შეფასება მოხდება პრაქტიკის კომპონენტით. ამ ცვლილების პარალელურად ცვლილება შევიდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმაშიც.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, წინაპირობების დაზუსტების მიზნით შევიდა ცვლილება სასწავლო გეგმაში და შესაბამისად, სასწავლო კურსების სილაბუსებში, კერძოდ: სასწავლო კურსს „სტატისტიკა ტურიზმში“ წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი „შესავალი კვლევის მეთოდებში“; სასწავლო კურსს „ფინანსური მენეჯმენტი“ წინაპირობად განესაზღვრა

სასწავლო კურსები „ფინანსები“ და „შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში“; სასწავლო კურსს „რისკებისა და პრობლემების მართვა ტურიზმში“ წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები“;

ამასთან, ცვლილება განხორციელდა ძირითადი სწავლის სფეროს ორი სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსში, რეკომენდაციის შესაბამისად, განახლდა ძირითადი ლიტერატურა, რაც აისახა ყოველკვირეული მუშაობის განრიგშიც

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა განხორციელებულია ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამისთვის, ამასთან აღნიშნული კვლევა არის 2020 წლის, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებისკენ. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად მართებულია პროგრამაში ,,საქართველოს ძირითადი ტურისტული მარშრუტების პროექტირება“ სასწავლო კურსის არსებობა, მაშინ როცა უკვე არის გათვალისწინებული ,,ტურ-ოპერირტინგი“ და ,,საერთაშორისო ტურიზმი“ იყოს თავისუფალი არჩევითი კურსის სახით. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ენების კომპონენტი, კერძოდ საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ არის შეთავაზებული მხოლოდ ინგლისური ენა სტუდენტებისთვის და ამ მხრივ რატომ არ ხდება გამრავალფეროვნება. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა მემორანდუმები, კერძოდ ერთ- ერთ მემორანდუმში მიზნად მითითებულია უცხოელი სტუდენტების ქართულ ენაში გადამზადება, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს პირელი რეკომენდაციის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ დააზუსტა, რომ იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სხვა უცხო ენის ჩაბარებით ჩაერიცხება დაწესებულებაში რა მექანიზმი აქვს უნივერისტეტს იმისთვის, რომ მოხდეს სავალდებულო უცხო ენის კომპონენტის სრულყოფილად შესწავლა ამ სტუდენტის მიერ. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა პლაგიატის საკითხი, კერძოდ თავად ტერმინი განმარტეულია თუმცა ჩანაწერები მსგავსებასთან დაკავშირებით არ არის. ამასთან, პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომი მითითებულია არჩევით ნაწილში, ხოლო ძირითად ნაწილში გათვალისწინებულია პრაქტიკა, თუმცა მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ რამდენად პასუხობს პრაქტიკა დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს განაგრძონ სწავლა შემდეგ საფეხურზე. მეორე სწავლის შედეგი ათვისებულია ბიზნეს ეთიკით; თუმცა, კურსი არ არის საკმარისი განსაზღვრული სწავლის შედეგის შესანარჩუნებლად. სამომავლო რეკომენდაციისთვის პრაქტიკა შეიძლება იყოს კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის ყველა შედეგის მიღწევას. პროგრამის განვითარების მესამე სწავლის შედეგი შესაძლოა ასევე იყოს გამოწვევა დაწესებულებისთვის. როდესაც სტუდენტები ტოვებენ დაწესებულებას, მათ არ შეუძლიათ შედეგების სრულად შეფასება პირდაპირი და ირიბი მეთოდებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუ თარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში სწორედ ის არგუმენტებია ჩადებული თუ რატომ განისაზღვრა კვალიფიკაციად ბიზნეს ადმინისტრირება ტურიზმში. რაც შეეხება უცხო ენების საკითხს, ინგლისური ენა პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსის სახით, რომელსაც შემდგომ მოსდევს დარგობრივი ინგლისური. გარდა ამისა, სწორედ რომ განახლების პროცესში დადგა საკითხი უცხო ენების დამატებისა, შესაბამისად არჩევით სასწავლო კურსებში დაემატა ორი უცხო ენა, ესენია, გერმანული და იტალიური. რაც ასევე განაპირობა ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში სხვადასხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობამ.

შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულია ტარდება ორ წელიწადში ერთხელ დაგეგმილი სტანდარტის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ მოცემული პროგრამა არის ბიზნეს ადმინისტრირების ქუდის ქვეშ, შესაბამისად კვლევა ჩატარებულია ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით, ვინაიდან დაწესებულება თვლის რომ ბიზნესი ქმნის სამუშაო ადგილებს. ამასთან შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში დაწესებულებამ გამოკითხა ტურისტული კომპანიები, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება აღინიშნოს, რომ მათი მოთხოვნა უცხო ენებთან დაკავშირებით იყო დასახელებული და გაზიარება ამ მიმართულებით ჭირდებოდა სტუდენტს, რომელიც გაივლიდა ტურიზმის პროგრამას. შრომის ბაზარზე ტურიზმის პროფესიონალის არსებობის მოთხოვნა დასტურდება იმითაც, რომ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია ეხმარება ტურიზმის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს.

რაც შეეხება სასწავლო კურსებს, საბჭოს წევრის მიერ აღნიშნული სასწავლო კურსები არის შემავსებელი საგნები,ხშირად როდესაც ხდება ტურ-ოპერეიტინგის სწავლება, მარშრუტები რჩება მიღმა, აქედან გამომდინარე ტურისტული მარშრუტების პროექტირება, უშუალოდ მოიცავს ტურისტული მარშრუტების დაგეგმვას, ტურ-პაკეტების შექმნას. გამომდინარე აქედან სილაბუსში მოცემულია როგორც ტურისტული მარშრუტები ასევე პროფილური მარშრუტები. ხოლო რაც შეეხება ტურ-ოპერეიტინგის სასწავლო კურსს, აქ წარმოდგენილია ტურისტული მარშრუტების გაგრძელება და მოცემულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ფას -წარმოქმნა, მოგება, ხარჯთ აღრიცხვის წარმოება და სხვა.

,,საერთაშორისო ტურიზმთან“ დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში განსაზღვრულია სასწავლო კურსი ,,ტურიზმის გეოგრაფია“ რომელიც იმ კითხვებს ფარავს რაც შეიძლებოდა განხილულიყო ,,საერთაშორისო ტურიზმის“ ფარგლებში.

ინგლისურ ენასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინგლისური ენის დონე შეიძლება შემოწმდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების, გასაუბრებისა და უნივერსიტეტის შიდა ტესტირების შედეგად. სტუდენტი, რომელიც არ ფლობს ინგლისურ ენას, ვალდებულია შეისწავლოს ინგლისური ენის პაკეტი ერთი, რაც გულისხმობს ინგლისური ენის სწავლების დაწყებას A1 დონიდან.

რაც შეეხება პლაგიატის საკითხს, უნივერსიტეტში მოქმედებს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილებაზე რეაგირების წესი, სადაც დეტალურად არის გაწერილი პროცესი და პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები. ამ წესის მე-4 მუხლი მე-4 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონულ პროგრამაში ნაშრომის შეფასების შემდეგ თუ ნაშრომის მსგავსების მაჩვენებელი აღემატება 15% ნაშრომის მოცემულ შემთხვევაში გადაეცემა ეთიკის კომისიას შესამოწმებლად.

საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა ჩაშენებული პროექტების სახით, ასევე ის საკითხები რომლებიც კვლევასთან, მონაცემების შეგროვებასთან და დამუშავებასთან არის დაკავშირებული

სტუდენტმა შეისწავლოს სხვადასხვ საგნებისა და თუნდაც პრაქტიკის მეშვეობით. გარდა ამისა, პროგრამაში განსაზღვრულია სასწავლო კურსი ,,შესავალი კვლევის მეთოდებში“ რომლის მეშვეობითაც სტუდენტს შეუძლია რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შესწავლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:46
დასრულების დრო: 17:17

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: : შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის - ნიუუნის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკო მენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის გუნდმა უზრუნველყოს სწავლის ყველა შედეგის მიღწევა და შესაბამისი კურსებით გაძლიერება.
2. რეკომენდებულია პროგრამის მეორე სწავლის შედეგის დაუფლების გადახედვა სასწავლო გეგმის რუკაზე და სასწავლო კურსის დაზუსტება, რომელიც ეფექტურად აითვისებს ამ კონკრეტულ სწავლის შედეგს.
3. ძირითადი სწავლის სფეროს – „რისკებისა და პრობლემების მართვა ტურიზმში“ არჩევითი საგნის სილაბუსების შინაარსი და სათაური გახდეს თავსებადი;
4. რეკომენდებულია, განახლდეს ძირითადი ლიტერატურა სილაბუსებში შემდეგი კურსებისთვის – „ბიზნესის საფუძვლები“, „შესავალი სტრატეგიულ მენეჯმენტში“, ახალი ხელმისაწვდომი მასალით.
5. კურსში „სტატისტიკა ტურიზმში“ მიღების წინაპირობად რეკომენდებულია განისაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი კვლევის მეთოდებში“; კურსში „ფინანსური მენეჯმენტი“ მიღების წინაპირობად განისაზღვროს კურსები „ფინანსები“ და „ფინანსური

აღრიცხვის შესავალი“, „მაკროეკონომიკის პრინციპების“ კურსის ნაცვლად. „მენეჯმენტის საფუძვლები“ განისაზღვროს, როგორც „რისკებისა და პრობლემების მენეჯმენტის“ კურსის წინაპირობა.

რჩევები:

1. მიზანშეწონილია გადაიხედოს პრაქტიკული კომპონენტის ჩართვა 1, 2 და 5 სწავლის შედეგებში;
2. სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს პროგრამის კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში.
3. სასურველია, „დანიშნულების მენეჯმენტის“ ქართული სახელწოდება შეიცვალოს „ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტით“.
4. შემდგომი კურსების სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა გადაიხედოს და დაწვრილებით იქნას წარმოდგენილი: „მიკროეკონომიკის პრინციპები“, „ტურიზმის მარკეტინგი“, „კულტურული ტურიზმი“, „ტურიზმის საფუძვლები“, „ბიზნესის საფუძვლები“.
5. უნდა გადაიხედოს კომუნიკაციის პრაქტიკა და მიღებულ იქნას აუცილებელი ზომები იმისთვის, რომ სტუდენტები ინფორმირებული იყვნენ გასაჩივრების პროცესის შესახებ.
6. პროგრამის სტუდენტები უნდა იღებდნენ დახმარებას კარიერული განვითარების ცენტრისაგან.
7. სასურველია უსდ-მ მეტი ძალისხმევა მიმართოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციისკენ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართულობის წახალისების მექანიზმების გაძლიერებით.
8. სასურველია უმაღლესი სასწავლებლისათვის პრიორიტეტული იყოს სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავება, რაც ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში.
9. სასურველია, უსდ-მ ბიუჯეტში დეტალურად წარმოადგინოს უმაღლესი სასწავლებლების შემოსავლების სტრუქტურა, რაც საფუძველს შექმნიდა პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროების შესახებ მეტი ანალიზისთვის.

17:35- საბჭოს სხდომას შეუერთდა გოდერძი ბუჩაშვილი

3.მესამე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი Tourism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება №316 18.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი Bachelor of Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული უნივერსიტეტის ქ N1. თელავი, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი; 2200, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16-17 მაისს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში (ინგლისურ და ქართულ ენებზე), პროგრამის აღწერის დოკუმენტი, რომელსაც თანდართული ჰქონდა პროგრამის ყველა კომპონენტის დეტალური სილაბუსი (ქართულ ენაზე) და დოკუმენტები საუნივერსიტეტო მომსახურებების შესახებ, CVები და დოკუმენტები აკადემიური პერსონალის შესახებ და სხვ (ქართულ ენაზე). ვიზიტის დროს, პანელს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალს, აკადემიურ პერსონალს (როგორც აფილირებულს, ისე მოწვეულებს), საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, სოციალურ პარტნიორებს. შეხვედრების ყველა მონაწილე მზად იყო ეთანამშრომლა და ღიად და გულახდილად მიეღო მონაწილეობა დისკუსიებში. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე პროფესიონალურად და ეფექტიანად დაკმაყოფილდა ვიზიტის განმავლობაში.

პროგრამა აკმაყოფილებს სხვადასხვა ქართულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს და შეესაბამება ყველა რეგულაციას და სტანდარტს, რაც დადასტურდა ობიექტების დათვალიერებით, დოკუმენტებით, ინტერვიუებით ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტთან და დაინტერესებულ მხარეებთან, გარდა სტანდარტისა „საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან“, რომელიც მეტწილად შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნებს

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაიხვეწოს პროგრამის მიზანი, გახდეს უფრო უნიკალური და კონკრეტული.
2. სწავლის შედეგები უნდა განიხილებოდეს ტურისტული ბიზნესის უახლესი მიგნებების, ტექნოლოგიების, სამეცნიერო მიღწევების და ქვეყნის რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით;
3. რეკომენდებულია, გაიზარდოს საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და დაწესდეს მისი მომზადებისთვის უფრო მაღალი მოთხოვნები: სტრუქტურა, ციტირება და ა.შ.
4. რეკომენდებულია, გაიზარდოს კომპანიაში სტაჟირების კრედიტების რაოდენობა და შესაძლოა რამდენიმე სემესტრში გახდეს სამოტივაციო ინსტრუმენტი სტუდენტებისთვის, რათა უფრო სწრაფად გაეცნონ თავიანთ მომავალ პროფესიას და კარიერულ შესაძლებლობებს.

5. სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ისწავლონ სასტუმროს, რესტორნის, მოგზაურობის დაგეგმვის ან ავიაბილეთის დაჯავშნის პროგრამები (პროგრამულ უზრუნველყოფასთან პრაქტიკული მუშაობის გზით);
6. ყურადღება უნდა მიექცეს საბაკალავრო ნაშრომების, როგორც სამეცნიერო წერითი სამუშაოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების უზრუნველყოფას (ციტირება, ზომა, მეთოდოლოგიის მართებულობა და ა.შ.). უნდა გაიზარდოს კომუნიკაცია და კოორდინაცია სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ სტუდენტებს აკადემიური წერის ნორმების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წამომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრქუციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანი რელევანტური და მისადაგებულია ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასაიათებელს. ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ტურისტული ბაზრისათვის კვალიფიციური სპეციალისტის მიწოდებაზე, რომელიც არა მხოლოდ კონკრეტულად კახეთის რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს ნებისმიერი რეგიონის ტურისტულ ინდუსტრიაში შეძლებს საქმიანობის განხორციელებას, რაც გამყარებულია ტურიზმის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსებით.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სწავლის შედეგებში ასახული კომპეტენციები ეფუძნება თანამედროვე ტურისტული ბაზრის მოთხოვნებს კონკურენტუნარიანი სპეციალისტის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას; რაც შეეხება რეგიონის საჭიროებებს, კახეთის რეგიონი ერთ-ერთი მოწინავე რეგიონია საქართველოში როგორც ტურისტული რესურსების მრავალფეროვნებით, ასევე ყოველწლიური ტურისტული ნაკადების რიცხვის მატების დინამიკით. საქართველოში 12 რეგიონია და თითოეული განსხვავებულია თავისი სხვადასხვა სპეციფიკით, რეგიონზე მორგებულობა კი ზღუდავს კურსდამთავრებულის დასაქმებას, ამიტომ დაწესებულება თვლის, რომ არ საჭიროებს პროგრამის სწავლის შედეგები რეგიონის საჭიროებებისა და მიღწევების გათვალისწინებას. თუმცა სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ სასწავლო კურსებში „საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები“ ,,ტუროპერეიტინგის“, „ღვინის ტურიზმი“, „ეკო და აგრო ტურიზმი“, ,,კახეთის ისტორიული ძეგლები" და ,,ექსკურსიათმცოდნეობა" განხილულია რეგიონთან დაკავშირებული საკითხები.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი ნაწილობრივ ეთანხმება ციტირების და კრედიტების რაოდენობის ნაწილში, თუმცა აქვე ავღნიშნავთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ , მუხლი 1 ე“ 1 ,, პუნქტის თანახმად, საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სასწავლო კომპონენტს (საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის/საგნის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნაშრომის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით). საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისათვის დაწესებული მოთხოვნები უნივერსიტეტში რეგულირდება საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულებით და ასევე საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით, რომელიც განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად გამოყოფილი კრედიტების რაოდენობას, შეფასების კრიტერიუმებს და საკონტაქტო საათების განაწილებას.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, უნივერსიტეტი აღნიშნულ რეკომენდაციას ნაწილობრივ ეთანხმება და ავღნიშნავთ, რომ ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის 5.2 პუნქტი -პრაქტიკული სწავლება- ითვალისწინებს მინიმუმ 5 კრედიტს, წარმოდგენილ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია 6 კრედიტი. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვახდინოთ ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსის სხვა სახით ფორმულირება, რათა მოხდეს მათში „ჩაშენებული პრაქტიკის“ ასახვა, კერძოდ, ტუროპერეიტინგი, სასტუმროს მომსახურების ორგანიზაციის პრინციპები, ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გაზრდის პრაქტიკულ კომპონენტს და გადანაწილდება სხვადასხვა სემესტრში.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექონოლოგიები ტურიზმში“ საშუალებას აძლევს სტუდენტებს უნივერსიტეტის სასწავლო გარემოში შეისწავლონ სასტუმროს, რესტორნის, ავიაბილეთების დაჯავშნის პროგრამები პრაქტიკული მუშაობის გზით. კერძოდ, გაეცნობიან ონლაინ სივრცეში წარმოდგენილი საიტების ინტერფეისს, მოახდენენ ვირტუალურ სიმულაციას.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, კოორდინაცია სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის საკმაოდ დიდია. ასევე პროგრამის მიხედვით განსაზღვრულია საკონსულტაციო საათები. თუმცა დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და შეეცდება კიდევ უფრო ბევრი იმუშაოს საბაკალავრო ნაშრომზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშილმა აღნიშნა სასტუმროს, რესტორნის, მოგზაურობის დაგეგმვის ან ავიაბილეთის დაჯავშნის პროგრამები და დააზუსტა დაწესებულება მანამდეც ახორციელებდა მოცემულ პროგრამებს თუ ახლახანს მოხდა მათი გამოყენება. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დაზუსტა ექსპერტებთან დადგინდა თუ არა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ცოდნის ნაკლებობა.
საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ დააზუსტა თუ რატომ არ მიიჩნია პროგრამის გუნდმა არსებითად ტურიზმის ეკონომიკის ძირითად სავალდებულო საგანთა ბლოკში ჩასმა. გარდა ამისა, პროგრამის სილაბუსებში მრავლად არის წარმოდგენილი სალექციო კურსები და რიდერები, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა კრიტერიუმით ხდება აღნიშნული კურსებისა და რიდერების აღიარება. გარდა ამისა, საბჭოს წევრი გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას და აღნიშნა, რომ კვლევაში მონაწილეობდა 16 ორგანიზაცია, რომლებშიც კურსდამთავრებულთა 62.5 პროცენტი არის დასაქმებული, თუმცა კითხვარში არ ჩანს როგო მოხდა ორგანიზაციების მიერ ცოდნისა და უნარების შეფასებას. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა სასწავლო კურსი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ , სადაც გამოკითხვის ფორმა არის ზეპირი, თუმცა კურსი არის პრაქტიკული ხასიათის, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებებისკენ.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ზურაშვილმა დააზუსტა თუ რა მარკეტინგულ ინსტრუმენტებს იყენებს დაწესებულება სტუდენტების მოზიდვის მიზნით და რამდენი სტუდენტ სწავლობს ამჟამად პროგრამაზე. ამასთან საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ იგი გაეცნო მემორანდუმებს, რომელთა უმეტესი ნაწილია გაფორმებულია სასტუმროებთან და მუზეუმებთან, თუმცა პროგრამაში

არსად არ არის მოცემული სამუზეუმო საქმე როგორც სასწავლო კურსი. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ არ ისწავლება ღვინის ტურიზმი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ დამსაქმებლების კვლევაში ნათლად არის მოცემული, რომ აუცილებელია მეტი პრაქტიკა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ ისაუბრა პრაქტიკული კომპონენტების არსებობაზე, თავად პროგრამიდან და სილაბუსებიდან აღნიშნული არ დასტურდება, მოცემულია მხოლოდ ზეპირი შეფასებები და არ იკვეთება პრაქტიკული ნაწილი. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ აპირებს დაწესებულება პრაქტიკული კომპონენტების გაწერას. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა განსაზღვრულია თუ არა მემორანდუმებში სტუდენტთა ზუსტი რაოდენობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული დასტურდება როგორც ინტერვიუების შედეგად, ასევე ექსპერტთა ჯგუფს გაეცნო ვიდეო-ლექციების სახით არსებულ ფაილებს , შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ ამ კუთხით საკითხები საჭიროებენ გაძლიერებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება აკრედიტაციის ვიზიტამდეც აქტიურად იყენებდა მოცემულ პროგრამებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ რიდერებთან და სალექციო კურსებთან დაკავშირებით, ავტორი მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელს რის შედეგადაც ხდება საკითხი განხილვა და ავტორი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად წყვეტს საჭირო არის თუ არა აღნიშნულის სილაბუსში დამატება. შემდგომ, საკითხი გადაეცემა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რომლს თანხმობის მირების შემდგომაც ხდება საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვა, რაც მტკიცდება შესაბამისი ოქმით. მოცემულ ოქმს ხელს აწერს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს, ხოლო აკადემიური საბჭო გასცემს ნებართვას, რის შედეგადაც უკვე ხდება განთავსება ბიბლიოთეკაში.

რაც შეეხება ,,ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ტურიზმში", მოცემულ შემთხვევაში თეორიული გამოკითხვა არ გულისხმობს საკითხის თეორიულად მოყოლას. აპლიკაციის შესაბამისად, სტუდენტი აჩვენებს თავის მოქმედებებს და აკეთებს განმარტებებს. ამასთან სტუდენტებისთვის განსაზღვრულია ვიდეო ინსტრუქციები, რომელის გამოყენება საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს.

დამსაქმებლების შეფასებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი მოთხოვნა იყო უცხო ენების გაძლიერება, რაც უკვე აისახა პროგრამაში, კერძოდ განსაზღვრულია 4 სემესტრ ზოგადი ხოლო ორი სემესტრი დარგობრივი უცხო ენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგები ტურიზმში მანამდე არ იყო განსაზღვრული პროგრამის მიხედვით, შესაბამისად ვინაიდან არსებობდა როგორც კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლების მხრიდან აღნიშნული მოთხოვნა მოხდა მისი დამატება და პროგრამაში დანერგვა.

ტურიზმის ეკონომიკასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ კრედიტების რაოდენობა არ იძლევა საშუალებას აღიშნული საგანი განისაზღვროს ძირითად ბლოკში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხები იფარება სხვა სასწავლო კურსებით., მაგალითად როგორიცაა ტურისტული პროდუქტების გაყიდვის ტექნოლოგია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ,,კულტურული ტურიზმის" სასწავლო კურსი მოიცავს სამუზეუმო მენეჯმენტის საკითხებს რასაც სტუდენტები სწავლობენ და ასევე ასახულია სილაბუსშიც.

რაც შეეხება ღვინის ტურიზმს, სასწავლო კურსში ,,ტურიზმის საფუძვლები" ისწავლება ტურიზმის ძირითადი მიმდინარეობები, სახეობები და ფორმები, სადაც ასევე საკმაოდ კარგად არის მიმოხილული როგორც ღვინის ტურიზმი, ასევე სამუზეუმო ტურიზმიც.

სტუდენტების მოზიდვასთან დაკავშირებით ფაკულტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მარკეტინგული ღონისძიებები მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა სტუდენტებისთვის. რიგ სოციალურ ქსელებში ასევე მოხდა სხვადასხვა ვიდეო-რგოლების განთავსება. ასევე დაწესებულებას საკმაოდ მჭიდრო კავშირი აქვს სკოლებთან. უნივერსიტეტში ინტენსიურად მოდიან დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, რომლებსაც უტარდებათ ექსკურსიები და სხვადასხვა შეხვედრები. ამასთან, ჩატარდა ასევე გასვლითი შეხვედრები სკოლებში. რაც შეეხება სტუდენტებს რაოდენობას, ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 40 სტუდენტი.

მნიშვნელოვანია, რომ ტუროპერეიტინის სასწავლო კურსში ყველა თემას თან მოყვება პრაქტიკული დავალება. პრაქტიკა ასევე განსაზღვრულია ღონისძიების მენეჯმენტის სასწავლო კურსის მიხედვით. ასევე აღსანიშნავია ექსკურსიამცოდნეობის სასწავლო კურსიც, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ერთი გასვლითი ტური.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ გაფორმებულ მემორანდუმებში არ არის მოცემული სტუდენტების ზუსტი რაოდენობა, ვინაიდან დაწესებულება ყოველ წელს ჰყავს სხვადასხვა რაოდენობის სტუდენტები, ობიექტები კი საკმაოდ მრავალფეროვანი. შესაბამისად, სანამ დაიწყება სასწავლო სემესტრი დაწესებულებას აქვს კომუნიკაცია ამა თუ იმ ობიექტთან და ამ კომუნიკაციის საფუძველზე დგინდება სტუდენტებს რაოდენობა, რა დროსაც ასევე გათვალისწინებულია სტუდენტის სურვილიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:24
დასრულების დრო: 19:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის

„ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაიხვეწოს პროგრამის მიზანი, გახდეს უფრო უნიკალური და კონკრეტული.
2. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო კურსების სახით: ღვინის ტურიზმი , ეკო და აგრო ტურიზმი.
3. რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულბ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნას სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის ვადები.
4. (რეკომენდაცია დამატა) რეკომენდებულია სასწავლო კურსების (ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ექსკურსიამცოდნეობა, ტურისტული პროდუქტების გაყიდვის ტექნოლოგიები, დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, კვებისა და სასმელების მენეჯმენტი, სასტუმრო მომსახურების ორგანიზაციის პრინციპები)სტუდენტების შეფასებებაში გათვალისწინებულ იქნას პრქტიკული დავალებების შესრულების კომპონენტები სასწავლო კურსების თემატიკიდან გამომდინარე.
5. რეკომენდებულია ყურადღება მიექცეს საბაკალავრო ნაშრომების, როგორც სამეცნიერო წერითი სამუშაოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების უზრუნველყოფას (ციტირება, ზომა, მეთოდოლოგიის მართებულობა და ა.შ.). უნდა გაიზარდოს კომუნიკაცია და კოორდინაცია სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ სტუდენტებს აკადემიური წერის ნორმების შესახებ.

რჩევები:

1. სასურველია, გაიზარდოს კომპანიაში პრაქტიკის კრედიტების რაოდენობა და შესაძლოა რამდენიმე სემესტრში გახდეს სამოტივაციო ინსტრუმენტი სტუდენტებისთვის, რათა უფრო სწრაფად გაეცნონ თავიანთ მომავალ პროფესიას და კარიერულ შესაძლებლობებს.
2. დაემატოს სასწავლო კურსი სამუზეუმო საქმე.
3. კულტურული ტურიზმის სასწავლო კურსის შინაარსში დაემატოს მუსიკალური ფესტივალების თემატიკა (წინანდლის ფესტივალი,თელავის ფესტივალი,ფოლკლორული ფესტივალები და ა.შ

4. სასურველია უნივერსიტეტმა მოამზადოს მკაფიო კომუნიკაციისა და მარკეტინგის სტრატეგია, რომლითაც მოცემული სასწავლო პროგრამის შესახებ მეტი ინფორმაცია მიეწოდება პოტენციურ სტუდენტებს, რადგან სტუდენტების რაოდენობა კრიტიკულად დაბალია;
5. სასურველია გაიზარდოს სტუდენტების მოტივაცია მათი ჩართვით საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში და მათ მიეცეთ იქ მოქმედების საშუალება;
6. სასურველია რისკის შეფასების და რისკის მართვის ინსტრუმენტის უფრო საფუძვლიანად დანერგვა PDCA სისტემის ფარგლებში და პროგრამის თანამშრომლებს შორის მისი გაზიარება, რათა შეიქმნას უწყვეტი გაუმჯობესების მოხერხებული ციკლი.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასტუმროს მენეჯმენტის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასტუმროს მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26/06/2016, N69
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჩერქეზიშვილის ქ.N1, გორი, სასწავლო კორპუსი №3, 1400, საქართველ
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
№		

	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასტუმროს მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26/06/2016, N70
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პერსონალური მომსახურებები - არაკლასიფიცირებული - 1019
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჩერქეზიშვილის ქ.N1, გორი, სასწავლო კორპუსი №3, 1400, საქართველ
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა -გოდერძი ბუჩაშვილმა, რომელმაც დატოვა სხდომა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18-19 მაისს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის აღწერის დოკუმენტი მისი ყველა კომპონენტის დეტალურად აღწერილი სილაბუსით (ინგლისურ და ქართლ ენაზე), ასევე დოკუმენტები საუნივერსიტეტო მომსახურებების შესახებ, CV-ები და აკადემიური პერსონალის შესახებ დოკუმენტაცია და სხვ. (ქართულ და ინგლისურ ენაზე). ვიზიტის პროცესში, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის დირექტორს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალს, აკადემიურ პერსონალს (როგორც აფილირებულს, ისე მოწვეულებს), საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, სოციალურ პარტნიორებს. შეხვედრების ყველა მონაწილე მზად იყო ეთანამშრომლა და ღიად და გულახდილად მიეღო მონაწილეობა დისკუსიებში. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე პროფესიუნალურად და ეფექტურად დაკმაყოფილდა ვიზიტის განმავლობაში.

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები აკმაყოფილებს სხვადასხვა ქართულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე შეესაბამება ყველა რეგულაციასა და სტანდარტს. ამას ვასკვნით დაწესებულების მონახულების, დოკუმენტების შესწავლის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტთან და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების საფუძველზე. გამონაკლისია სტანდარტი „საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან“, რამეთუ იგი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასტუმროს მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასტუმროს მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს მკაფიო საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც საშუალებას მისცემს პოტენციურ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიიღონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, რადგან სტუდენტების რაოდენობა დაბალია;
2. რეკომენდებულია გადაიხედოს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის დათმობილი დრო, საბოლოო შეფასებისთვის მათი შეფასების წონა და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში,. ასევე - ყურადღება გამახვილდეს „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის“ კონცეფციის განხორციელებაზე;

რეკომენდაციები სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისთვის:

1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს ინგლისური ენის ცოდნის უზრუნველყოფას და საბაკალავრო პროგრამაში სტაჟირების ხანგრძლივობის გაზრდას; გაიზარდოს კომპანიაში სტაჟირებისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა - ამის რამდენიმე სემესტრში განხორციელება შესაძლებელია -როგორც სამოტივაციო საშუალება სტუდენტებისთვის, რათა უკეთ გაეცნონ სამომავლო პროფესიასა და კარიერულ შესაძლებლობებს.

რეკომენდაციები სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისთვის:

1. უმნიშვნელოვანესია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს უცხო ენების კურსები, განსაკუთრებით ინგლისურის, სამაგისტრო დონეზე ან/და შესთავაზოს სტუდენტებს ინგლისური ენის დამატებითი კურსები, რათა დაეხმაროს მათ აკადემიურ და კარიერულ განვითარებაში;
2. ნაშრომების ხარისხის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია უნივერსიტეტმა და ნაშრომების ხელმძღვანელებმა გაზარდონ კონსულტაციების სიხშირე და ხარისხი, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-2

რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აუცილებელია ექსპერტთა მხრიდან დაზუსტდეს თუ რა იგულისხმება მოცემულში, ვინაიდან თუ ეს რეკომენდაცია დარჩება დაწესებულებსი მხრიდან აუცილებელია იქნება რიგი ცვლილებების განხორციელება, შესაბამისად აუცილებელია ზუსტად იყოს გაგებულია თუ რა იგულისხმება რეკომენდაციაში. საუბარია შუალედურ გამოცდებთან დაკავშირებით და ექსპერტების აღნიშნავენ, რომ რეკომენდებულია გადაიხედოს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის დათმობილი დრო, საბოლოო შეფასებისთვის მათი შეფასების წონა და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში,. ასევე - ყურადღება გამახვილდეს „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის“ კონცეფციის განხორციელებაზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასკვნითი გამოცდა არ არის მთელი სემესტრის შეფასებაზე ორიენტირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში შუალედური გამოცდები აზრს დაკარგავდა. ასევე გაუგებარია სტუდენტზე ორიენტირებული კონცეფციის საკითხი და მნიშვნელოვანია ამ კუთხითაც მოხდეს განმარტება.

რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს იმ ნაწილში, რომ უნივერისტეტის მარკეტინგული სტრატეგია აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გორს უნივერსიტეტის ყველაფერს აკეთებს ამ მიმართულებით. გორის უნივერსიტეტის რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო უნივერსიტეტია, შესაბამისად საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ამ კუთხით განვითარებითვის. გამომდინარე აქედან უნივერსიტეტის საქმიანობა მაქსმალურად არის ორიენტირებულია სტუდენტების მოზიდვაზე. შესაბამისად ამ პროგრამების მხარდაჭერა გულისხმობს რეგიონის განვითარების მხარდაჭერას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ აღნიშნა სასწავლო კურსები ,,ეკო ტურიზმი“ და კულტურული ტურიზმი“ და დააზუსტა თუ რამდენად პასუხობს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს მოცემული სასწავლო კურსების არჩევით ბლოკში განთავსება. გარდა ამისა, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში ასახულია, რომ მონაწილეობა მიიღო ათმა სუბიექტმა თუმცა არ ჩანს კვლევის გეოგრაფია. გარდა ამისა, დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში დაწესებულება აცხადებს მიღებას 20 ადგილზე და თუმცა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩარიცხული იქნა 8, 6 და 9 სტუდენტი, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ აქვს დაწესებულებას გაანალიზებული ფაქტორები, რომლებიც იწვევს ამ შედეგებს. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სამწუხაროდ თემებში იკვეთება გადაფარვა, კერძოდ, ,,სასტუმროს საქმის საფუძვლები“ და ,,ფრონტ ოფისის ოპერირება“, თემები ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ფინანსური კონტროლი და საინფორმაციო მენეჯმენტი მეორდება ორივე საგანში. გადაფარვა არის ასევე საბაკალავრო დონეზე ,,სასტუმრო ფრონტ ოფისი ოპერირება“ და ,,სასტუმროს ფრონტ ოფისის მენეჯმენტი“ სამაგისტრო დონეზე.

სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რომელი სასწავლო კურსით გადის პროგრამა დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ ისეთ სწავლის შედეგზე, როგორიცაა საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დინამიკისა და ტენდენციების განხილვა, რომელიც უნდა შეძლოს კურსდამთვარებულმა. სამაგისტრო საფეხურის შემთხვევაშიც შეინიშნება თემების დუბლირება, კერძოს ,,რესტორნის საქმე“ საბაკლავრო პროგრამაში და ,,საკვების და სასმელის მენეჯმენტი“ სამაგისტრო პროგრამაზე, მაგალითად მენიუს დაგეგმვა.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაში მოცემულია სამართლებრივ რეგულაციებთან დაკავშირებული სასწავლო კურსი, შესაბამისად საბჭოს

წევრმა დააზუსტა არის თუ არა საბაკალავრო დონეზეც მსგავსი სასწავლო კურსი გათვალისწინებული. ამასთან სასწავლო კურსების მიხედვით პრაქტიკა აგებულია სასტუმროების საქმიანობაზე, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა განიხილავს თუ არა დაწესებულება სხვა პრაქტიკის ობიექტების დამატებას სასტუმროს გარდა., გამომდინარე პროგრამის კვალიფიკაციიდან. გარდ ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არ იყო მოცემული საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებული კურსი, შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებისკენ.

სხდომის თავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთა რიპოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ,,ეკო ტურიზმსა“ და კულტურულ ტურიზმზე“ და აღნიშნა, რომ მოცემული საკითხები ზოგადი გათვალისწინებულია ,,ტურიზმის შესავალში“. ტურიზმის დარგობრივი მახასიათებელი მოიცავს ამ საკითხებს, მაგრამ მოცემული პროგრამა ამზადებს ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრს ტურიზმში, რაც არის ჯვარედინი კვალიფიკაცია, შესაბამისად დარგობრივი მახასიათებლის თითოეული ნაწილის ზედმიწევნით გათვალისწინება დაწესებულებას მართებულად არ მიაჩნია, მთავარია მოხდეს შესაბამის შედეგებზე სრულად გასვლა.

რაც შეეხება გადაფარვის საკითხებს, საბაკალავრო დონეზე აღნიშნული საკითხები ისწავლება ფართო ასპექტში, უფრო ზოგადი სახით ხოლო სამაგისტრო დონეზე ისწავლება სიღრმისეული სახით. შესაბამისად, გარკვეული საკითხების გამეორება არ უნდა წარმოადგენდეს ხარვეზს.

შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მოიცავს გორის მუნიციპალიტეტში არსებულ სასტუმროებისა და ტურისტულ კომპანიებს.

რაც შეეხება სტუდენტთა ჩარიცხვის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიამ მოახდინა უამრავი სასტუმროს მუშაობის შეჩერება. შესაბამისად, ჩარიცხვის ეს მაჩვენებელი აქედან იყო განპირობებული. თუმცა დაწესებულების მზაობა და თანამშრომლობა პარტნიორებთან იძლევა იმისი თქმის საშუალებას, რომ წელს ნაკადი უფრო დიდი იქნება და დინამიკაც გაიზრდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამართლებრივი რეგულირების საკითხთან დაკავშირებული სასწავლო კურსი არ არის გათვალისწინებული საბაკალავრო დონეზე, მაგრამ სტუდენტებს შეუძლიათ, რომ არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში აირჩიონ ნებისმიერი სამართალთან დაკავშირებულია სასწავლო კურსი.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, ამოკითხვისა და პროგრამაზე დაკვირვების შედეგად წარმოდგენილ პროგრამაში არ იქნა გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომი. მნიშვნელოვანია ასევე პრაქტიკის საკითხი, საერთაშორისო პარტნიორების მოთხოვნით აღნიშნული ძირითადა სასტუმროებში ხორციელდება თუმცა შესაძლებელია პრაქტიკის ობიექტების დამატებაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:39
დასრულების დრო: 20:26
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასტუმროს მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასტუმროს მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს მკაფიო საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც საშუალებას მისცემს პოტენციურ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიიღონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, რადგან სტუდენტების რაოდენობა დაბალია;
2. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს ინგლისური ენის ცოდნის უზრუნველყოფას და საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკის ხანგრძლივობის გაზრდას;
3. საბაკალავრო პროგრამის ძირთადი სფეროს სასწავლო კურსებს დაემატოს ტურიზმის სამართლებრივ რეგულაციებთან დაკავშირებული სასწავლო კურსი .
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსებს: საერთაშორისო ტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, კულტურული ტურიზმი, მიენიჭოს სავალდებულო კურსების სტატუსი.
5. რეკომენდებულია ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურის ძირითად კურსებში გათვალისწინებულ იქნას ტურიზმთან დაკავშირებული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტების/ნაშრომების მომზადება.
6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების (რესტორნის მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, ღონისძიებების მენეჯმენტი და მეღვინეობა) სტუდენტების შეფასებაში შეტანილ იქნას პრაქტიკული დავალებების კომპონენტები და შესაბამაისი შეფასების კრიტერიუმები.
7. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აამოქმედოს პროგრამის შიდა შეფასების მექანიზმები პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, ისევე როგორც შესაძლებელია რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებს უკეთესი პირობებით მიაწოდოს ინგლისურენოვანი კურსები.
2. სასურველია დამატებითი საკითხავი მასალის შეტანა: წიგნები, სამეცნიერო სტატიები და ა.შ ინგლისურ და ქართულ ენებზე.
3. სასურველია სტუდენტთა და მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება სამეცნიერო პროდუქტის მომზადებისა და შემდგომ მისი გავრცელების გზით;
4. სასურველია გადაიხედოს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის დათმობილი დრო.
5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაუმჯობესდეს საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში, სტუდენტების მონაწილეობის ხარისხი და გაიზარდოს დონე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნაციონალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის;
6. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს დამატებით დაფინანსება პროგრამების მარკეტინგისა და საჯაროობისთვის, რათა მოიზიდოს მეტი სტუდენტი;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სასტუმროს მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს მკაფიო საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც საშუალებას მისცემს პოტენციურ სტუდენტებს

მეტი ინფორმაცია მიიღონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, რადგან სტუდენტების რაოდენობა დაბალია;

2. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში : რესტორნის მენეჯმენტი, საკვების და სასმელის მენეჯმენტი - თემატური გადაფარვების გასწორება.
3. უმნიშვნელოვანესია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს უცხო ენების კურსები, განსაკუთრებით ინგლისურის, სამაგისტრო დონეზე ან/და შესთავაზოს სტუდენტებს ინგლისური ენის დამატებითი კურსები, რათა დაეხმაროს მათ აკადემიურ და კარიერულ განვითარებაში.
4. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა და ნაშრომების ხელმძღვანელებმა გაზარდონ კონსულტაციების სიხშირე და ხარისხი, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით;
5. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აამოქმედოს პროგრამის შიდა შეფასების მექანიზმები პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, ისევე როგორც შესაძლებელია რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებს უკეთესი პირობებით მიაწოდოს ინგლისურენოვანი კურსები.
2. სასურველია დამატებითი საკითხავი მასალის შეტანა: წიგნები, სამეცნიერო სტატიები და ა.შ ინგლისურ და ქართულ ენებზე.
3. სასურველია სტუდენტთა და მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება სამეცნიერო პროდუქტის მომზადებისა და შემდგომ მისი გავრცელების გზით;
4. სასურველია გადაიხედოს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის დათმობილი დრო.
5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაუმჯობესდეს საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში, სტუდენტების მონაწილეობის ხარისხი და გაიზარდოს დონე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნაციონალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის;
6. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს დამატებით დაფინანსება პროგრამების მარკეტინგისა და საჯაროობისთვის, რათა მოიზიდოს მეტი სტუდენტი.

5.მეხუთე საკითხი: შპს - საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი - ჯიუ-ს ,,ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	01/11/2022, MES 1 22 0001385357
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ინგლისური ენა
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 24 მაისს სააკრედიტაციო ვიზიტი განხორციელდა. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაიმართა შეხვედრები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, შესაბამისი სასწავლო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან. ობიექტების დათვალიერებისას წარმოდგენილი იყო ძირითადი რესურსები და საშუალებები. პროგრამაზე დაშვების პროცედურა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უნივერსიტეტის დებულებებს.

შპს - საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი - ჯიუ-ს ,,ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების) ჩართულობის გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია შესაბამისი აქტივობების განხორციელება.
2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამაში ინტეგრირებული ტურიზმის მიმართულებით პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ღონისძიებების გაძლიერება.
3. რეკომენდებულია სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით სასწავლო პროგრამაში ტურიზმისა და მასპინძლობის დაჯავშნის სისტემ(ებ)ის პროგრამული უზრუნველყოფის სათანადო მოცულობით ჩართვა,

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არის მესამე საქართველოში, რომელიც ტურიზმის ინგლისურენოვან პროგრამას ახორციელებს. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში დამსაქმებლების მხრიდან გამოიკვეთა საჭიროება, რომ კურსდამთავრებულებმა კარგად უნდა იცოდნენ უცხო ენა, რა საჭიროებასაც პროგრამა პირდაპირ პასუხობს. აქვე უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანია სიახლე რომელიც დაწესებულებამ გაითვალისწინა ბენჩმარკინგის კვლევის შემდეგ არის ტურიბას უნივერსიტეტის მაგალითი, რომელსაც სავალდებულო კომპონენტად აქვს განსაზღვრული პრაქტიკა. სტუდენტს მიეცემა სამი არჩევანის შესაძლებლობა, მას შეეძლება აირჩიოს პრაქტიკა ტურისტულ კომპანიაში, აირჩიონ სასტუმრო მიმართულება და სტუმართ-მასპინძლობა და მესამე კ იქნება საქმიანო ტურიზმის პრაქტიკული კომპონენტი ექსპრეს ჯორჯიას საერთაშორისო ტურისტული გამოფენის ბაზაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ დააზუსტა თუ რომელი სასწავლო კურსით გადის პროგრამა დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შედეგზე, კერძოდ ეკოლოგიური საკითხების ცოდნაზე, რომლის განხილვაც უნდა შეძლოს კურსდამთავრებულმა. ამასთან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ მიიჩნევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომ ,,საერთაშორისო ტურიზმი“ უნდა იყოს არჩევით სასწავლო კურსების ბლოკში.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე ჯიშკარიანმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ექსპერტთა აკადემიურ პერსონალსა და მათ რაოდენობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ეკო ტურიზმთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკითხთან დაკავშირებით განსაზღვრულია არჩევითი სასწავლო კურსი, თუმცა სავალდებულო

მიმართულებით, ტურიზმის შესავალში გათვალისწინებულია მსუყე ბაზა ეკო ტურიზმის მიმართულებით. რაც შეეხება ,,საერთაშორისო ტურიზმის“ მიმართულებას, ტურიზმი დღევანდელი გადმოსახედით გახდა ერთიანი გლობალური საერთაშორისოდ განსახილველი საკითხი, აქედან გამომდინარე, არა მარტო დაწესებულების, არამედ სხვადასხვ ექსპერტებისა და დამსაქმებლების ჩართულობით გადაწყდა რომ აღნიშნული განსაზღვრულიყო სავალდებულო ბლოკში.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში მოაზრებული არის 39 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც
თავის მხრივ დაბალანსებულია როგორც ბიზნეს ადმინისტრირების ასევე ტურიზმის მიმართულებით. აქედან 19 არის აფილირებული, ხოლო 20 მოწვეული ლექტორი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:47
დასრულების დრო: 21:14

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი - ჯიუ-ს ,,ტურიზმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების) ჩართულობის გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია შესაბამისი აქტივობების განხორციელება.
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსებს: საერთაშორისო ტურიზმი, აგრო ტურიზმი, ეკო ტურიზმი და გარემოს დაცვა მიენიჭოთ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების სტატუსი.

3. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ღონისძიებების გაძლიერება ტურიზმის მიმართულებით.
4. რეკომენდებულია სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით სასწავლო პროგრამაში ტურიზმისა და მასპინძლობის დაჯავშნის სისტემ(ებ)ის პროგრამული უზრუნველყოფის სათანადო მოცულობით ჩართვა.

რჩევები:

1. სასურველია პერსონალის დაგეგმვა და მოტივირება, რათა შესაბამისი სამეცნიერო პროდუქციის შექმნის მიზნით აქტიურად იმუშაონ ტურიზმის სფეროში კვლევებზე,
2. სასურველია ტურიზმთან დაკავშირებული ობიექტების განვითარება, როგორიცაა, ტურიზმის ლაბორატორიები და ასევე - მასპინძლობის დაჯავშნის სისტემ(ებ)ის პროგრამული უზრუნველყოფა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა 2023 წლ ის 30 ივნისის 21:10 საათზე გამოცხადდა დახურულად.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი